**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 — სა პ ო ლ ი ტ ი კ ო დ ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ზ ე თ ი — 1877—1892



ჩვეულებისამებრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"
გაჰმართავს
მუშტაიდის ბაღში
**ლატარია-ალეგრის**
თავის ღონისძიებათა განსაძლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში. (5—5)

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია
ტფილისში
მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათ შესახვევს მასალას.**

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჭაერს, ჭაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰმველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამოჰრჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—10)

ქართული საზაფხულო თეატრი
**„ჩანგი"**
(მიხეილის ქუჩაზედ, მუშტაიდის გვერდით, „სტრელნაში")
**კვირას, 3 მაისს,**
ქართველ ატრისტებისაგან
**ბ-ნ ნებიერიძის**
მოთავეობით
წარმოდგენილნი იქნება:

I
მესამე მოქმედება ა. ცაგარლის დრამიდგან
**მეთიკო**

II
პირველად ახალი ვოდევილი
**იჭვიანი**
1 მოქ. რ. ერისთავისა.

III
**დიდი დივერტისმენტი**

**ორშაბათს, 4 მაისს,**
წარმოდგენილი იქნება:

I
**მუნწი**
კომ. 2 მოქ. გ. ერისთავისა

II
**ოინბაზი**
ანუ
**პრიკაშჩიკი შკაფში**

მოთამაშენი: ქ-ნნი ნებიერიძისა, გურგენიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, ნებიერიძე, ადამიძე, თომაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი:
1 წყება—1 მ. და 50 კ., 2 და 3—1 მ. და 20 კ., 4, 5, 6 და 7—1 მ., 8, 9, 10 და 11—60 კაპ., 12, 13 და 14—40 კ., ფეხზედ დგომა—20 კ.
დასაწყისი 9 საათზედ.

ადმინისტრატორი ა. ნებიერიძე.
რეჟისორი ვ. აბაშიძე.

შემდეგი წარმოდგენა იქნება ხუთშაბათს, 7 მაისს.


## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, კამერჰერმა მის უდიდებულესობის კარისამ თავადმა ლ. ა. მაღალაშვილმა შემდეგი დეპეშა მიიღო ხელმწიფე იმპერატორისაგან:

გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს.

„მოხარული ვარ, რომ იმპერატრიცა და ასული ჩემი იყვნენ მცხეთის ძველს ტაძარში. მახსენდება, რომ მე და განსვენებული ჩემი მშობელიც ვიყავით მაგ ტაძარში. გულითადად გმადლობთ მისთვის, რომ მეც მომიგონეთ, და უქვეშევრდომილეს გრძნობათათვის იმ თავითვე ერთგულის ქართველთა თავად-აზნაურობისა".

მისის უდიდებულესობის დეპეშა პასუხი იყო იმ დეპეშისა, რომელიც ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გაგზავნა მცხეთიდგან, როდესაც მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა წაბრძანდა. აი ეს დეპეშა:

მის იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს.

„ნება გვიძევ, თქვენო უდიდებულესობავ, იმ ბედნიერსა ჴ სასიხარულო დღეს, როდესაც ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული ბრძანდებოდნენ ქრისტიანთა უძველესს წმიდა ადგილას—მცხეთის ტაძარში, განგიცხადოთ უქვეშევრდომილესი გრძნობანი ნიადაგ თქვენის ერთგულის ქართველთა თავად-აზნაურობისა".

*** ხელთა გვაქვს ანგარიში ტფილისის მიხეილის სამკურნალოს უკანასკნელ თთვისა. პირველ აპრილისათვის ამ სამკურნალოში ყოფილა სულ 222 ავადმყოფი, 182 მამაკაცი და 40 დედაკაცი; გასულა სამკურნალოდგან 178 სული, 140 მამაკაცი და 38 დედაკაცი; მომკვდარა 38 სული, 32 მამაკაცი და 6 დედაკაცი. პირველ მაისისათვის საავადმყოფოში 264 სულია, 209 მამაკაცი და 55 დედაკაცი. ამათ შორის რუსია 97, 57 მამაკაცი, 20 დედაკაცი; ქართველი—53, 40 მამაკ. და 7 დედაკაცი; სომეხი—44, 39 მამაკ. და 5 დედაკ.; მაჰმადიანი 12, სულ მამაკაცები, დანარჩენი თითო-თითოობით არიან. ამათ გარდა, სამკურნალოს, ბ-ნ მთავარ-მმართებელის უკანასკნელ განკარგულების თანახმად, პირველი შემწეობა 46 სულისათვის გაუწევია. სამკურნალოში გადამდებ სნეულებით ავადმყოფები მიუყვანიათ: 1 ყვავილით ავადმყოფი, 1 წითელათი, 2 ქუნთრუშათი, 12 ხუნაგით და 3 შავის სახადით. წარსულ აპრილის თთვის განმავლობაში გადამდებ სნეულებით ავადმყოფები ამ რიგად მიუყვანიათ: ყვავილით—პოლიციის მე-10 განყოფილებიდგან, ქუნთრუშათი—პოლიციის პირველ ჴ მეორე განყოფილებიდგან, ოთხ შავის სახადით ავადმყოფ შორის ორი ტფილისის თავშესაფარიდგან მიუყვანიათ, ერთს ამათგან გადასდებია თავ-შესაფარში სიარულის დროს, თუმცა იქ არა მდგარა ჴ ერთსაც ამათგანვე სამკურნალოს მოსამსახურეთაგანს გადასდებია. ხუნაგით ავადმყოფი სულ 12 მიუყვანიათ. ამათში 6 პოლიციის 1 განყოფილებიდგინ, 2—მე-3 განყოფ., 3—მე-9 განყოფ. და ერთიც—მე-10 განყოფილებიდგან. სამკურნალოში უარი უთქვამთ უადგილობის გამო 33 ავადმყოფისათვის.

*** გამოვიდა „ჯეჯილი" მაისის ნომერი შემდეგის შინაარსით: ქრისტე აღსდგა—რაჭული მილოცვა; სანდრო—მოთხრობა აპოლ. წულაძისა; მაისი—ლექსი ზეზვასი; ანნა-ბულბული, პოემა ვაჟა-ფშაველასი; უცაბედი მოგზაურობა (დასასრული), თარგმანი ა. თ.-წ.; ჩიტი გალიაში, ლექსი აკაკისა; პატარა-პატარა სამეცნიერო წერილები (წერილი მეათე), ილიკოსი. ლეგენდა—მერცხალასი; ჩვენი ძველი გმირები, ისტორიული სურათები გ. წერეთლისა; სალხური ლექსი, ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისაგან; ჰეფხის ტყაოსანი, გ. ი—სა. ბუნიამინ ფრანკლინი—გადმოღებული ან. თ.-წ.; ყვაწვალის მკილავი, იაკობ სვიმონიძისა; ხალხური ლექსი, ჩაწერილი დათეშიძისაგან. ანდაზები, გამოცანები და სხვა წვრილმანი.

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას" სალატარიოდ შესწირეს:

ელისაბედ გრიგოლის ასულმა საგინოვისამ—25 მან.;

ნინო დიმიტრის ასულმა შალიკოვისამ—სამი ძვირფასი ვაზა;

კნიაჟნა ნატალია ნიკოლოოზის ასულმა ბარათაშვილმა — სტოლზედ გადასაფარებელი შალის სუფრა და ნაკერი ბუდე საათისა;

კნ. ნატალია ვახტანგის ასულმა ამირეჯიბისამ—შუბლის ქინძისთავი მარგალიტის თვალით;

კნ. მარიამ ნიკოლოოზის ასულმა ორბელიანისამ 12 ცალი ყავის ფინჯანი;

ნადეჟდა ვლადიმერის ასულმა კოვალსკაიამ—ორი ფერადის ქაღალდით აბრეშუმზედ ხელოვნურად გაკეთებული გიდელა სადარბაზო ბარათებისა;

თამარ დავითის ასულმა ჯაიანისამ—ერთი საკაბე;

ქ-ნ სონა ბედიანიძისამ—შლილის ძაფით ნაკერი სამი ცალი ხელსახოცი.

*** ჩვენ მივიღეთ სოფ. პატარძეულში ილ. მენთეშაშვილის მიერ ხელის-მოწერით შეკრებილი 11 მან. და 35 კ. ალ. ყაზბეგის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 421 მ. 40 კ., ამითი შესდგა 432 მ. და 75 კაპ.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი პატარა წიგნი „გორის ციხე", ლექსი ველიჩკოსი, გადმოთარგმნილი აკაკის მიერ და დაბეჭდილი ძმათა ჰილაძეთა მაღაზიისაგან ქუთაისში. ამ წიგნში სულ რამდენიმე ფურცელია და ღირს 5 კ.

*** სომეხთ პოეტს ისმაბათ შახაზიზიანს ოც-და-ათის წლის იუბილეის გამო 200 მანათი შეუწირავს სომეხთა წიგნების გამომცემელ საზოგადოებისთვის.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 15—23 აპრილს თბილისში ავად გამხდარა გადამდებ სენით: ხუნაგით 6 კაცი, ჩუტყვავილით—3, შავის სახადით—2, წითელით 1; ამავე დროს განმავლობაში გარდაცვლილა: ხუნაგისაგან—1 და ჩუტყვავილისაგან—1 კაცი.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, რომ ბათუმის საპატიმროში შავი სახადი გაჩენილაო. ამბობენ, რომ ეს ავადმყოფობა ნოვოროსიისკიდგან გადმოჰყოლია ერთს პატიმარსაო. ეხლა ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ იქაურს საპატიმროშიაც გაჩენილა შავი სახადი. ამ ორის კვირის წინად ეს საშინელი სენი ერთს ნოვოროსიისკიდგან მოსულს პატიმარს აღმოსჩენია და ეხლა სხვებსაც გადასდებია თურმე.

*** ქუთაისი: ტფილისის სათეატრო დასი უკვე გვესტუმრა და ჯერ მარტო ორი წარმოდგენა გაჰმართა. პირველად, კვირას, 26 აპრილს, წარმოადგინეს შილლერის „ავაზაკები", რომელშიაც უმთავრესს როლს თამაშობდა ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი. მეორედ, ხუთშაბათს, 30 აპრილს, წარმოადგინეს ლაზარიშვილის „მტარვალი", რომელშიაც სიათას როლს მშვენივრად თამაშობდა ქ-ნი ავალოვისა, ალექსის როლს-კი არა ნაკლებ კარგად თამაშობდა ბ-ნი სვიმონიძე. ორმავე პიესამ კარგად ჩაიარა. ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა ხუთშაბათს, „მტარვალის" დაწყებამდის, წაიკითხა გოგოლის „შეშლილის წერილები", რითაც დიდად ასიამოვნა ქუთაისის საზოგადოება. ორსავე წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. მესამე წარმოდგენა დანიშნულია კვირას, 3 მაისს. წარმოდგენილი იქნება პირველად ქუთაისში გუნიას დრამა „დაძმა". ეს მესამე წარმოდგენაა და, სამწუხაროდ, ქ-ნ მ. მ. საფაროვის სცენაზედ დანახვას ველარ ვეღირსეთ. სასურველია, რომ მეოთხე წარმოდგენაში მაინც მიიღებდეს მონაწილეობას და მით გვასიამოვნებდეს მის სცენაზედ დანახვის მსურველთ.

*** ქარელი: აქეთ მხარეს მოსავალს კარგი პირი უჩანს. ყანა-ქერი მუხლნაყარია და საცაა თავთავს დაიყრის. ვენახებსაც კარგად მოაქვს და, თუ დარმა უდარა, წელსაც ურიგო მოსავალი არ იქნება თუ პურისა და თუ ღვინისა.

*** თელავი: ოთხშაბათს, 22 აპრილს, თელავის განყოფილებამ კავკასიელ სომეხთ საქველ-მოქმედო საზოგადოებისამ თავის სასარგებლოდ გამართა აქაურ „კლუბში“ ბალი. ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ ჯეროვანი სიამოვნება-კი ვერ მიიღეს. შუა ბალიდამ დასრულებამდის ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპას გარდა, კინაღამ სისხლიც დაიღვარა. მოვალენი იყვნენ გამგებელნი ბალისა სცდილიყვნენ და წესიერება დაეცვათ, რითაც ბევრი ნაწილი ხალხისა გადარჩებოდა უსიამოვნობას.

*** სიღნაღი: ჩკენკენ მარტმა თავის მემკვიდრეობა გადასცა აპრილს. ძლიერ ნაგვიანევი გაზაფხული გვქონდა წელს. კვლავ მარტში მშვენივრად ჰყვაოდა ნუში, ატამი, ქლიავი, ბალი და სხვა ხეხილი, დღეს ზოგიერთს არც-კი ეტყობა ყვავილი, მაგალითად, ვაშლს, მსხალს და სხვ. აი დღეს 27 აპრილია და სამის დღის შემდეგ მაისიც მოგვესალმება, ჩვენის ქალაქის ბაზარი-კი ბალითა და მწვანე ლობიოთი უნდა იყოს შემკული, მაგრამ სად არის. ამაებს, როგორც ეტყობა, ივლისშიაც ძლივს ველირსებით, ისე ცივა აქეთ. ესევე ითქმის მიწის მოსავალზედაც. სარჩოს დამღუპავი და დამნთქავი მტერი კალია და თაგვი მრავლდება ჩვენსკენ. აგერ ეს ორი კვირაა, დიდ-ძალი ხალხი მუშაობს ელდარისაკენ კალიის გასაწყვეტად. ბევრისაგან ბევრიაო ეს დამღუპავი მწერი. ძლიერ გულ-მოდგინედ იქცევა ჩვენი ადმინისტრაციაც, მაგრამ მაინც ელდარელ თათრებს, როგორც ამბობენ, ყანები დაუთიბიათ ბალახად. კალია შესჭამს და ბალახად მაინც ვიხმარებთო.

განუწყვეტელმა ავდარ-სიცივე-ქარებმა ძლიერ უკან დააყენა სამუშაო საქმე, ხვნა-თესვა და ვენახების შემუშავება. ახლა კიდევ ეს გაუთავებელი კალიის ბეგარა ზედ დაერთო მუშა ხალხს, რის გამოც ზოგი უხნავი რჩება, ზოგმა ვენახი ვერ შეიმუშავა. არ იქნება ურიგო, რომ, როგორც შარშან, წელსაც დაეხმარონ მოქალაქენი გლეხობას, ფულით, პურით და იარაღით, თორემ მარტო სოფელი ვერას გააწყობს, საქვეყნო ჭირს ერთი ვერ გაუძლევბა.

სეტყვამაც ჩვენზედ მოიცალა. 24 აპრილს ნახევარი ბაკურციხე მთლად ჩარეგვა. თუმცა ნაგვიანევია ყველაფრის მოსავალი, მაგრამ მაინც, თუ ცა და ღრუბელი დაუმშვიდდა და გვაკმარა მარტო ბაკურციხის დასეტყვა, კარგი მოსავალი გვექნება. სიღნაღს რომ გადმოხედოთ ნუკიანიდგან, გეგონებათ, მთლად სიღნაღი თოვლით არის დაბურულიო, ისე მშვენივრადა ჰყვავის ხეხილი. რაც შეეხება ყანებს, უკანა მხარში მშვენიერია და უნაკლულო, წინა მხარში-კი უჩივიან. ზოგან მოსცდა და ზოგან თაგვი მძვინვარებს. ვაზი არსად არა ტყუის და თუ ან ნაცარი, ან ობი, ანუ სეტყვა არ მოხვდა, დიდ-ძალი ღვინის მოსავალი მოგვივა.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ დედათა ავადმყოფობის ერთს მკურნალს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში ტფილისში სამკურნალო გამართოს დედათა ავადმყოფთათვის. ამ მკურნალს უკვე წარუდგენია სამკურნალოს პროექტი კავკასიის მთავარ-მართებელისათვის.

*** პარიჟის ბირჟას ამას წინად საკუთარმა უფროსმა აგენტმა აუწყა, რომ ართვინის მახლობლად, ჭოროხის ხეობაზედ, მშვენიერი მადნებია სპილენძისა, ზოგიერთს მადანში 30—50% სპილენძია და ადვილადაც არის ამოსაღებიო. იგივე აგენტი ამბობს, რომ ქალაქ ართვინში 6,000 მცხოვრებია და დღიური მუშაც ძლიერ იაფიაო. ტყე ხომ ართვინის მახლობლად ბევრია და ნავთიც უფრო იაფია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. მაშასადამეო, უთქვამს ამ აგენტს: კარგი იქნებოდა, რომ საფრანგეთის ფულის პატრონებმა ამ საქმეს ყურადღება მიაქციონ, მით უმეტეს, რომ სპილენძის შორს წაღება არ დასჭირდებათ გასასყიდად, რადგანაც ეს სპილენძი რუსეთშივე გაიყიდებაო („Нов. Обоз.“).

*** მაისის 1 პოლიციის 1 ნაწილში ტფილისის მცხოვრებელმა ალექსი პაპაჯანოვმა გამოაცხადა, რომ ვერის სასტუმროში სამგზავრო ყუთი მოიპარეს, რომელშიაც 127 მანეთის ტანისამოსი და თეთრეული იყოო. ქურდობა იქვე მოსამსახურეს ნიკოლოზ აბუაშვილს დააბრალეს, რომელიც შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

*** 30 აპრილს პოლიციელმა იაროსლავსკიმ ვერის ხიდზედ იპოვნა ნივთეულობით სავსე პატარა ყუთი.

## მთავრობის განკარგულებანი

აზნაურშვილი ილარიონ ლალიაშვილი და გიორგი ცისკარაშვილი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამსახურში იქმნენ მიღებულნი.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელე გიორგი რცხილაძე ტფილისისავე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში იქმნა გარდაყვანილი.

## ნაკვესი

ყველიერია. ჩვენი ნასწავლი ყმაწვილები ვახშამს შეექცევიან ერთს ოჯახში. ნადიმს გაჩაღებულს და გამაბეზრებელი „რეჩებიც“ მოჰყვა. მოიტანეს ტკბილი ქადა, მაგრამ ორატორები მაინც თავისას არ იშლიან. ამ დროს წამოდგა ერთი ახალგაზდა და დაიძახა:

— ყმაწვილებო, ე ქადა მეც მამაწოდეთ, თორემ ეხლავე „რეჩს“ გიტყვით!

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ივრის-ხეობა**, 1 მაისი. ამოდენა ხანი გავიდა, რაც სოფელს თვითმმართველობა მიეცა და მას აქეთ პროვინციის მცხოვრებნი ცხადად ვხედავთ, რომ სოფლის მოხელეთ ვერ გაამართლეს იმედები და სოფელი სრულიად უმართველოდ დარჩა. მათ მაყურებლებს თვალები სტკივათ, როდესაც ჰხედავენ სოფლის საზოგადოებას ან სულ ღვთის ანაბარად დარჩენილს, ან თვით მოხელეთაგან ნაცარცვს-ნაგლეჯს. ჩვენის გაზეთის მკითხველთაც თავი აქვთ მობეზრებული მათ მძრახავ კორესპონდენციების კითხვით, მაგრამ საქმე-კი დღესაც ისევ ძველ გზაზედა სდგას და მის შესწორებისათვის, სწორე გზაზედ გაყვანისათვის არავის არ უზრუნია. „რა ვქნათ, გადაწყვეტილ შრომის ფასს ჩვენ არ გვაძლევენ, შრომას არავინ გვიფასებს, ჩვენს სახლს მოკლებულნი ვართ. როგორ შევინახოთ ჩვენი თავი, ჩვენი ოჯახი, რომ სოფლისაგან ასე თუ ისე არ ვისარგებლოთ, თაფლში ჩაყოფილი ხელი არ გავილოკოთო“! ასე ამბობენ სოფლის მოხელენი და ერთის მხრივ არც ამტყუნებენ ზოგიერთნი. ამისთანა უთაურობისაგან ხალხს თავისი თავი თითონვე სძულს და ერიდება საზოგადო საქმის დაწყებას, რაც უნდა კარგი აზრიანი იყოს, რათა სხვა-და-სხვის საწეწი არ გახდესო.

რასაკვირველია, ამისთანა გარემოებაში ნამუსიანი გლეხი გაურბის მოხელეობას და უნამუსონი-კი ქრთამსაცა ჰხარჯავენ, ოღონდ-კი სოფელი მოგვეცით საძარცვად და საგლეჯადაო, უფლება მოგვეცით მოხელეობისა და, რაც ბედს მოჰყვეს, მოჰყვესო. გამოსულნი გამგეობის ასპარეზზედ, იმას-კი არა ჰფიქრობენ, სოფელს როგორ მოვუაროთო, სულ ტყისაკენ იყურებიან და იმისთვის ჰზრუნავენ, სად რა შევჭამოთ, რა დავლიოთ, რით მოვითბოთ ხელიო. აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის მოხელეთ ნამყოფნი, სოფელში ნათრევნი, როგორც იტყვიან ხოლმე, უნამუსონი არიან, გარეცხილან, შრომას გადაჩვეულან და, დაბრუნებულნი თავისს სახლში, ხელს აღარ ჰკიდებენ საქმეს და სასოფლოსკენ გარბიან. ასე და ამ გზით, წინა ხალხი სოფლისა, მოხელეთ ნამყოფნი დღეს ნამუსით ყველაზედ დაბლა სდგანან სოფელში. სოფელს თავი მოეჭრა, „თევზი თავიდგან აყროლდა“. ჩვენის მაზრის უფროსმა ბ-ნა ჯანდიერმა აწ გავლილ სამის წლით რომ ამოირჩია მოხელენი, მაშინვე ძალიან გააფრთხილა, ბევრჯელ კარგი სიტყვა უთხრა და ურჩია ნამუსიანადა და სიყვარულით მოჰკიდებოდნენ სასოფლო საქმეებს, მაგრამ სულ ამაოდ ჩაიარა. ერთხელ ცუდ გზაზედ დამდგარი საქმე ადვილად აღარ გასწორებულა. მგონია არც ერთს სოფელს არ შეჰრჩენია ამ სამის წლის განმავლობაში მამასახლისი. ზოგან ორჯელ და სამჯერაც გამოიცვალეს. შერჩათ მხოლოდ: ს. საგარეჯოს, მარტყოფს და გიორგიწმინდას. პირველ ორ სოფლის მამასახლისებმა თავი დაიჭირეს იმისთვის, რომ ცოტად თუ ბევრად განათლებულნი იყვნენ და პირველიდგანვე სოფელმა დაუნიშნა ჯამაგირი, ასე რომ ლუკმა პური საზრუნველი აღარა ჰქონდათ და ერთგულად ემსახურებიან სოფლის საქმეს, მის წარმატებისათვის უტყუვრად ზრუნავენ; მხოლოდ მესამემ-კი თავი დაიჭირა იმისათვის, რომ ნამწყემსარი კაცია, არ არის ზნედაცემული და მაზრის უფროსის ბრძანება უხინჯო და ძირს დაუშვებელი ჭეშმარიტებაა იმისთვის.

ჩველებრივ მამასხლისების არჩევას სრულიად აზრი და დანიშნულება ეკარგება იმისთანა დიდს სოფელში, როგორიც საგარეჯო და მარტყოფია. გარეშე კაცს სიცილად არა ჰყოფნის, როდესაც ჰხედავს ამოდენა სოფლის მამასახლისად გაუგებარს, წერა-კითხვის უცოდნელსაც-კი ხშირად, საზოგადო ცხოვრების დაუკვირებელს გლეხ-კაცს. ასეთებიც იყვნენ დღემდის. ს. საგარეჯო ზოგიერთ საქართველოს ქალაქებზედ დიდია, ირიცხება 1,000 კომლამდის, საკმარისად გავრცელებულია ვაჭრობა, ბლომად არიან მაზრის მოხელენი და მინდორი უჭირავს 32,000 დესეტინა, ორ სხვა

# ფელეტონი

## სოფლის სურათები

რა იყო ძველს დროში სოფელი? სოფელი ძველს დროში ძალა იყო, მომქმედი ძალა, ამიტომ ამაყი და თავმოყვარეც იყო. დღეს-კი მობუზულია, დღეს იგი იარაღია ათასის „ჭკვიანის“ ხელში... მცირე წლოვანის მამულ-დედულის პატრონი ობოლი ძალას როდი-ღა შეიცავს, მისი ძალა მის „აპეკუნის“ ვინაობაშია შერთულ-შერეული... ვითომ რას უშლის „აპეკუნი“ ობოლს? არაფერს იმის მეტს, რომ ობლის სარჩო-საბადებელი „აპეკუნის“ საჭმელ-სასმელადაა გამხდარი, თვით მოქმედება ობლისა-კი გაუქმებულია ამის გამო.

რად იყო სოფელი ძალა ძველს დროში? რა ასუქებდა ამ ძალას? სოფელი ძალა იმიტომ იყო, რომ მაშინ ყველაფერი ხელს უწყობდა, უმართავდა: მთა, ტყე, წყალი, თვით მისნი წევრნი და თვით გარს შემორტყმულნი მტერნი; სოფელი მაშინ თავის თავს ეკუთვნოდა. ეს კარგად შეგნებული ჰქონდა, დღესავით ცხადი იყო იმისთვის, და ამიტომ სოფელი ძალა იყო; ძალა იყო და იმიტომ გასძლო დღევანდლამდის, იმიტომ შეინახა თავისი სახელ-წოდება; დღეს ნუ თუ სოფელი აღარ უნდა იყოს ძალა, დღეს, როცა მეტი ჭკუა მოვიდა და მეტი გამოცდილება, მეტი სინათლე?—აქვს ძალა დღესაც სოფელს, მაგრამ ეს ძალა გულშია დამარხული, იქ განისვენებს მოუსვენარის ძილით.

აქ უნდა შევჩერდეთ ცოტა ხანს. დიაღ, შევჩერდეთ ჯერ და შემდეგ გატეხილი უნდა მოგახსენოთ.

სოფლის ძალას ხომ მოუსვენარის ძილითა სძინავსო, ვსთქვი, მაგრამ ამ ძილის დროს სიზმარსა ჰხედავს. ეს სიზმარი უნდა მომავალში ასრულდეს,—როგორ, რა გზით, საიდამ—ამაზედ თითონ ეს ძალა სხვა-და-სხვა პასუხს იძლევა და აუსრულებლობა-კი „არ შეიძლება“-ო.

რას აკეთებდა ძველს დროში ჭკვიანი კაცი და ან ეხლა რას აკეთებს?

— ძველს დროში სოფლის ჭკვიანი კაცი სხვა იყო და ეხლანდელი ჭკვიანი სხვაა. წინად იმას ბევრი საქველ-მოქმედო საქმე ებარა: სოფლის მოკეთისა და მტრის დახვედრა, სოფლის შინაურ საქმეების წარმოება იმას ებარა და აწარმოებდა კიდეც სოფლისავე სასარგებლოდ. „სოფელი ვინა და ერთი კაციო“, იმიტომ ამბობდნენ ძველები, მაგრამ მაშინაც ბრმად როდი ემორჩილებოდა ჭკვიანს კაცს სოფელი? არა, სოფელი ჰხედავდა ჭკვიანის კაცის მოქმედებაში თავის სარფა-სარგებლობას, აგრეთვე იმის რჩევაში, და იმიტომ მისდევდა იმას კვალ და კვალ, პატივსაც იმიტომ სცემდა, ფეხზედ წამოუდგებოდა, როცა ჭკვიანი სოფლის ყრილობაში გაჩნდებოდა ყავარჯენს დაბჯენილი; იგი წამალი იყო სოფლისა და, როგორც სნეულს ალაღებს და აიმედოვნებს წამალი, ისე სოფელს აძლევდა იმედს ჭკვიანის კაცის ყოლა. ჭკვიანია, მაგან იცის ჩვენი ავი და კარგიო, ავს არ მოინდომებს სოფლისათვისაო. მარტო ენით როდი იყო ჭკვიანი კაცი სოფლისათვის სასარგებლო, არამედ თავის მარჯვენითა და ოფლითაც; იმას ძლიერი მარჯვენა ჰქონდა ლაშქრობის დროს და მშრომელი—მშვიდობიანობაში... ობოლი და ქვრივ-ოხერი იმის მარჯვენის ძუძუთი იკვებებოდნენ; იმას ოჯახიშვილს ეძახდნენ, იმას „კაცა“ ერქვა სახელად. „აი კაცი ის არისო!“, ამბობდა სოფელი...

რასა ჰგავს ეხლანდელის დროის ჭკვიანი კაცი სოფლისა? რას აკეთებს იმისი ჭკუა?

— ეხლანდელი სოფლის ჭკვიანი კაცი სულ სხვა ჯურისაა, სრულიად სხვა რამ არის... განა როგორც ძველს დროში უცქეროდა სოფელი ჭკვიანს კაცს, ეხლაც ისე უცქერის? ეს თითონ ჭკვიანის ბრალია და არა სოფლისა. როცა ეხლანდელი ჭკვიანი და სოფელი პირის-პირ შეიყრებიან, უკანასკნელი პირს იდმევს და ამბობს: ნეტავი შენს დანახვას შავი კატა დამენახაო... რად ამბობს ამას სოფელი, რა საბუთი აქვს? იმიტომ, რომ ეხლანდელმა ჭკვიანმა ჭკუასთან ერთად ნამუსიც დაჰკარგა; იმას ოჯახი აქვს, მაგრამ ოჯახიშვილს სოფელი აღარ ეძახის, რადგან მადლი აღარ ტრიალებს იმის ოჯახში, საძირკველი ამ ოჯახისა „ცოდვაზედ“ სდგას. ეხლანდელი ჭკვიანი სოფლისა იმას-კი არა სცდილობს, სოფელს რამ არგოს, არამედ სულ იმის ცდასა და ფიქრშია, სოფელს რამ გამოსცინცქლოს, ჩამოათალოს; თავის სარგებლობის გულისათვის სოფელს კიდეც გაჰყიდის, თუ მუშტარი გაუჩნდა და ნებაც ექმნა...

რას ჰფიქრობს, ამას რომ სჩადის, ჭკვიანი?

— ჩემზედ ჭკვიანები, ჩემზე უფრო დიდები, ასე იქცევიან და მე რატომ აღარ უნდა მოვიქცეო?

ეხლანდელს „ჭკვიანს“ მარტო თავისი თავი, თავისი ვინაობა ახსოვს.

ეხლანდელს ჭკვიანს დიდი ცოდვა აბა კიდეც იმიტომ აძევს კისერზედ, რომ მარტო თავისი თავი ახსოვს,— შემდეგ სოფლისა რომ ახსოვდეს, ან მე რა მეთქმოდა და ან სოფელსა?!

რადღა ამაყობს და მედიდურობს ეხლანდელი ჭკვიანი?

— იმიტომ-რომ ამ მედიდურობას და ბღინძვას ბაზარი აქვს, ამითი მოსთოხნის და მოჰხოხნის, კიდეც ჩამოათლის სოფელს მსუქანს ლუკმას. ეს უწყის იმან. მაშ „ჭკვიანი“ რად არის, თუ ესეც არ იცის?!. არა, იმან კარგად იცის და ნათლად ჰხედავს, რომ სხვა-და-სხვა „ჭკვიანიც“ ამიტომ ამძიმებს თავსა, რომ სასწორში მძიმე მოვიდეს...

წინანდელი ჭკვიანი კაცი სოფლის მტერს ემტერებოდა, ებრძოდა; ეხლანდელი ჭკვიანი სოფლის მტერს მხარს უჭერს, უმოყვრდება, ზავს იჭერს იმასთან: შენცა ჰამე, მეც მაჭამეო. იგი დღეს მარტო მოხვეჭასლა ჰფიქრობს. სახელს, სოფელში „კაი ხსენებას“ არ დაგიდევს, სახელი რას მიქვიან უსახრავოდაო. ასეთი ადამიანია დღევანდელი „ჭკვიანი“ სოფლისა...

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელთან ერთად გაუყოფელი. ამოდენა ცხოვრება და სხვა-და-სხვა გვარი წარმოება უვიცის კაცის ხელში, უპატრონოდ, უმამასახლისოდ, ისე იყო დღემდის აწეწილი, ამღვლეული, რომ კაცი კვალს ვერ იპოვნიდა წესისას, ვისისამე ზედამხედველობისას, პატრონობისას. არა მგონია თუ ძველ, ბნელად წოდებულ დროში, ამოდენი დაუდევრობა და უთაურობა იქნებოდა. დიაღ არ იქნებოდა, ამისათვის რომ, რაც ახლა უხერხოდ მოვლილს, ცუდად შენახულს სარჩოს კანონიერი და უკანონო მტრები ჰყავს, უწინ არ ეყოლებოდა. მოხელეები, რაც უნდოდათ, იმასა სჩადიოდნენ; ადგილობრივი ვაჭრები, გაიძვერა ჩარჩები თითო ჭიქა არყით ისყიდებდნენ მამასახლისს და სოფელში, როგორც უნდოდათ, ისე ნავარდობდნენ; სოფლის მიწა-წყალზედ ჰხნავდნენ, სთიბავდნენ და აძოვებდნენ, ვისაც-კი უნდოდა — შინაურს და გარეულს. საგარეჯოს მინდვრის მომიჯნავეებს მუღანლოელებს და მალაკნებს ამათი მინდორი თავიანთ მინდვრად მიაჩნდათ და, როდესაც უკანასკნელს დროს წინააღმდეგობა დაუწყეს სოფლელებმა, — მუღანლოელებს კიდეც გაუკვირდათ, — გვიხმარნია და ვხმარობთ, ჩვენიაო. სწორედ ისე, როგორც ანდაზად არის ნათქვამი, რომ „აზამბურელი თათარი ჩემს ჩუვალს თავისას ეძახოდაო“. სამის სოფლის საზოგადოებას, სამს იურიდიულ თითოეულს, რომელთაც თავ-თავიანთ საზოგადოების მმართველობა აქვთ, განუყოფელად უჭირავთ 32,000 დესეტინა და, ვინ იცის, ვისას ვინა ჰხნავს, სთესავს, მკის, ჭირნახულს ახდენს და იპარავს ამოდენა საზღვრებში. რასაკვირველია, ერთმანეთ შორის საქმეები ადგილობრივ ვერ ირჩევა, ტფილისში სიარული 45 ვერსზედ ძნელია და ასე მიდის საქმე ერთმანეთის ძარცვაგლეჯაში, ცემა-ტყეპაში. ამისთანა გარემოებაში დიაღაც რომ საგარეჯოს უნდა მამასახლისი, ნამუსიანი, გაგებული, ცხოვრების მცოდნე, რომ შეიძლოს ამოდენა უწესო და ურიგო ოჯახს მოუაროს, რიგზედ მოიყვანოს. მაზრის უფროსმა ბ-ნ ლ. ჯანდიერმა კარგა ხანია მიაქცია ყოველს ამ გარემოებას ყურადღება და სცდილობს წესი და რიგი ჩამოაგდოს, მაგრამ ერთს დღეს სოფელი ვის აუშენებია. ამ დღეებში ახალი არჩევანები იქნება სოფლის მოხელეთა ჩვენს ხეობაში და ვნახოთ, ხვალე რას მოგვიტანს...

გ. გარეჯელი

# რუსეთი

წარსულს შემოდგომაზედ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განიზრახა ურალის სამთა-მადნო ქარხნების გამოკვლევა სასანიტარო და სამკურნალოს მხრივ. ამ აზრით ურალში გაგზავნილ იქმნა წევრი სამთა-მადნო სწავლულთა კომიტეტისა, მკურნალი ბერტენსონი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დათვალიერება უმთავრეს ქარხნებისა და ოქროს მადნებისა. ბ-ნმა ბერტენსონმა უკვე დაბეჭდა და გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა.

როგორც ხსენებულ მკურნალის გამონაკვლევიდგანა სჩანს, რომელი მხარეც უნდა აიღოს კაცმა სამთა-მადნო მრეწველობის ქარხნების ყოფა-ვითარებისა, ყველგან დიდი დაუდევრობა და უსაჭიროეს პირობათა დარღვევა და დაუცველობა ეტყობა. სივიწროვე მუშათა სადგომისა, ჰაერის უსუფთაობა, თავს-ბრუ დამსხმელი სიცხე ოთახებში, უზრუნველობა და უთადარიგობა იმის შესახებ, რომ მუშებს უბედურება ასცდეს, უქონლობა არა თუ სამკურნალოებისა, არამედ პირველ შემწეობის აღმოსაჩენად საჭირო მასალა-იარაღისაც-კი და სხვ., აი ის უმთავრესი ნაკლულევანება, რომელიც ბ-ნს ბერტენსონს შეუმჩნევია და უნახავს ურალში.

განა საკვირველია, რომ ამ გარემოებაში მყოფი მუშები ათას ნაირის სენით დაავადდნენ? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს საგანი რიგიანად არავის შეუსწავლია, რადგან სტატისტიკა ძლიერ უხეიროდ და უგვანოდ იწარმოება. ბ-ნ ბერტენსონის სიტყვით, ქარხნებში მხოლოდ იმ უბედურს შემთხვევას აღნიშნავენ ხოლმე ქაღალდზედ, როდესაც ან კაცი უთუოდ კვდება და ან პენსიის მიცემა მოუხდებათ ხოლმე.

არც სამკურნალო საქმეა ურალის მადნებსა და ქარხნებში უკეთესად დაყენებული. რიგიანად მოწყობილი სამკურნალოები ძლიერ იშვიათად მოიპოვება როგორც სახაზინო, აგრეთვე კერძო ქარხნებშიაც. ეს იქიდამაცა სჩანს, რომ უმეტეს ნაწილს სამკურნალოებისას მუდმივი მკურნალი არა ჰყავს და ავადმყოფებს ფერშლები უვლიან, რომელთა უმრავლესობა სულ „შინ ნასწავლი“ ხალხია. მრავალს სამკურნალოს არ მოეპოვება აგრეთვე მასალა-იარაღი ავადმყოფის რიგიანად მოვლისათვის საჭირო. ზოგს კერძო ქარხნებში ისეთი სამკურნალოებიც არის, რომ არამც თუ მკურნალი, არამედ ფერშლებიც-კი არა ჰყავთ. მაგალითად, ჩერნოისტოჩესკის ქარხანაში 10,000 მუშას სჭირდება კვეთით წამლობა და ყოველთვის იძულებულნი არიან ფერშალს მიჰმართონ ხოლმე, რომელიც ცხრა ვერსის სიშორეზედ სცხოვრობს ქარხნიდგან. ყველაზედ ცუდს მდგომარეობაში ამ მხრივ დემიდოვის ქარხნებია. ამ ჟამად დემიდოვის ქარხნები და მადნები წელიწადში მუშათა სამკურნალო საქმეზედ მხოლოდ 25 ათასს მანათსა ჰხარჯავენ, ხოლო 1867 და 68 წწ., როდესაც აწინდელზედ გაცილებით ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ, 99,741 მანათსა ჰხარჯავდნენ ყოველ წლივ ამავე საქმეზედ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ბერტენსონის სიტყვით, ურალის ოქროს მადნებში უფრო უარესობაა. „ოქროს მემადნენიო, სწერს ბერტენსონი: არა თუ სასანიტარო და სამკურნალო საქმეზედ არა ზრუნავენ, არამედ ავადმყოფებსაც-კი ყურს არ უგდებენ და ღვთის ანაბარადა სტოვებენ. მადნებში არამც თუ სამკურნალოები, ფერშლებიც-კი არა ჰყავთო. თვით მკურნალს ბერტენსონს უნახავს შავის სახადით ორი ავადმყოფი მუშა, რომელნიც ქუჩაში თურმე ეყარნენ უპატრონოდა და უყურადღებოდ.

აი ერთი თვალსაჩინო მაგალითი ოქროს მექარხნეთა მიერ მუშების უყურადღებობისა. საზამთრო სადგომებს მუშებისას სამის გოჯის სისქის ხეებისას აკეთებენ, ხოლო სიცივე იმ ადგილებში ზამთრობით 30° იცის. ბანებზედ მხოლოდ თხლად აყრია მიწა და ზემოდგან უშველებელს თოვლსა სდებს. ამ გვარს ყაზარმებში იმდენი მუშა იყრის თავს, რომ კაცის თავზედ ნახევარ ოთხ-კუთხი საჟენი ადგილიც აღარ მოდის. სრულიად ჯან-საღი მიუჩვეველი კაცი რომ შევიდეს ამ შენობაში, მცირე ხანსაც ვერ გასძლებს, მაშინვე თავი წამოსტკივდება. ერთის სიტყვით, ურალის მთა-მადნებისა და ქარხნების მუშები ისეთს ყოფა-ვითარებაში არიან სამკურნალო და სანიტარის მხრით, რომ იქ მყოფს კაცს მალე დაეკარგება ჯანი და ღონე და სიცოცხლეც მოესწრაფება.

# წვრილი ამბავი

სამხედრო ბეგარა ყმაწვილ ქალთათვის.

გერმანელ დედათა უგანსვენებულს კრებაზედ ელენე ლანგმა, დიდად მხნე მოღვაწემ დედათა განათლებისა, აღზრდისა და მდგომარეობისამ გერმანიაში, შემდეგი აზრები წარმოსთქვა თურმე ყმაწვილ ქალთათვის სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ.

სამხედრო სამსახური ყმაწვილ კაცთათვისაო, ამბობს ქ-ნი ლანგი: სასწავლებლია მორჩილებისა, ხასიათის განმტკიცებისა და წესსა და რიგზედ დაყენებისა. განსაკუთრებით კეთილად ისა ჰმოქმედებს ყმაწვილს კაცებზედ, რომ სამხედრო სამსახურმა გარჩევა არ იცის წოდებისა, ხარისხისა, ქონებისა და ყველა ერთ გვარად არის ვალდებული სამსახურის აღსრულებას. ზოგიერთნი, თუ სამხედრო სამსახურში ჩავარდნენ, სრულიად გამოიცვლებიან ხოლმე. საზოგადოდ სარგებლობა ყმაწვილ-კაცთათვის საერთო სამხედრო სამსახურისა აშკარაა და ამიტომ საჭირო არ არის იმისი დამტკიცება, რაც დიდი ხანია დამტკიცებულია და ჭეშმარიტებად მიჩნეული. თუ ეს ასეა, მაშ ერთის სქესისათვის სასარგებლო რატომ მეორე სქესისათვის-კი ასე არ უნდა იყოს? მამაკაცი სამხედრო სამსახურში ყოვნის დროს იცავს და იფარავს სამშობლოს იარაღით ხელში, დედაკაცი-კი სასარგებლოა და დიდად გამოსადეგი სამშობლოსათვის ვითარცა დაი მოწყალებისა, აღმზრდელი და ოჯახის გამგე. ყმაწვილ ქალთა მიერ სამხედრო ბეგარის გარდასახდელ ადგილად შეიძლება ის საზოგადო დაწესებულებანი იყოს, რომლებიც ერის დახმარებისა, განათლებისა, აღზრდისა და კვებისათვის არის დაარსებული.

ყოველი ქალი, რომელსაც-კი საშუალო სასწავლებელი დაუსრულებია, 17—20 წლისა, ერთის წლით უნდა ემსახუროს, თავის სურვილისა და მისწრაფების მიხედვით, სამკურნალოს, ქსენონს, ბავშვთა თავშესაფარს, სასწავლებლებს, საერო სამზარეულოებს და სხვა ამ გვარს დაწესებულებას.

საერთოდ წესი და რიგი მორჩილებისა ყმაწვილ ქალთათვის ისეთი უნდა იყოს, როგორიც ყმაწვილ კაცთათვის არის სამხედრო ბეგარით დადგენილი. მათ მიერ მოვალეობის რიგიანად აღსრულების ზედამხედველადა და მეთვალყურედ უნდა იყვნენ ქალები ობერ-ავიცერნი და ავიცერნი. ყოველი სამსახურში მყოფი ქალი განსაკუთრებულის სახით უნდა იყოს ჩაცმული. ქ-ნის ლანგის აზრით, ერთის წლით ასეთი სამსახური არამც თუ განანათლებს და ხასიათს განუმტკიცებს ყმაწვილს ქალს, არამედ, ამას გარდა, ბევრსაც ასწავლის, დიდს ცოდნასა და გამოცდილებასაც შესძენს ცხოვრებისას. საბრალო ქალები ბევრს ისწავლიან აღზრდისა, განათლებისა, კვებისა და ავადმყოფებისა და ყმაწვილების მოვლის საქმეში. შეძლებულთა ქალიშვილები აშკარად დაინახავენ ნამდვილს, ფერ-უმარილ წაუსმელს ცხოვრებას, შრომის აუცილებლობას შეიგნებენ და უფრო დიდის პატივისცემით მოეკიდებიან მშრომელს ხალხს.

რას აკეთებენ ეხლა ყმაწვილი ქალები სწავლის დამთავრების შემდეგ? სრულიად არაფერსაო, ამბობს ქ-ნი ლანგი: უმეტესობა მორთვა-მოპრანჭვის ზრუნვაშია, კეკლუცობს, მაღაზიებში დაეხეტება, გამოუსადეგარს ნივთეულობაში ფულსა ჰფლანტავს. ზოგნი ფორტეპიანოს უკრავენ, კურსებს ისმენენ, რომანებსა კითხულობენ და უფრო ხშირად-კი ოცნებობენ, არაფრისათვის არ იტკიებენ ქვეყნად თავს, იმათი დარდი და საფიქრებელი მხოლოდ ბალებია, სადამოები, მეჯლისები და სხვ.

აი, რა გარემოებასა და ვითარებაში იზრდება და სცხოვრობს ყმაწვილი ქალი, აი რა სახით ემზადება დედაკაცის დიდებულ მოვალეობის აღსასრულებლად — დედა-აღმზრდელობისა და ოჯახის დედა-ბოძობისათვის, ვინაიდგან ოჯახია დასაწყისშივე ადამიანის, ანუ მომავალ თაობის ხორციელად, სულიერად და ზნეობრივად განმავითარებელი.

„იქნებაო, ამბობს დასასრულ ქ-ნი ლანგი: ჩემი აზრი, რომ საერთო სავალდებულო სამხედრო ბეგარა იქმნას-მეთქი ქალთათვისაც შემოღებული, ბევრს აუსრულებელ, განუხორციელებელ ოცნებად ეჩვენოს, მაგრამ ნუ დაივიწყებენ-კი, რომ ოცნებაც-კი ბევრჯელ განხორციელებულაო“.

# წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით სოფელს პატარძეულში შეკრებილს თერთმეტ მანეთს და 35 კაპ. ალექსანდრე ყაზბეგის (მოხსენებარიძის) სასარგებლოდ და გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

სია შემომწირველთა:

ილიკო მენთეშაშვილი — 1 მან., კატო ბიდანიშვილის ასული — 1 მან., მარიამ გრიგ. ასული ბიდანიშვილისა — 1 მან., ზაქარია ბიდანიშვილი — 50 კაპ., მიტო ბიდანაშვილი — 40 კაპ., მღდვდელი ნიკოლოოზ ლეონიძე — 1 მან., სოფიო ლეონიძისა — 1 მან., ნიკო ქურდოვანაძე — 50 კაპ., გაბრიელ ბიდანიშვილი — 1 მან., დავით ცისკაროვი — 1 მან., მიხეილ პეტრეს ძე ოთარაშვილი — 1 მან., მამასახლისი იოსებ ელერდაშვილი — 50 კ., მღ. ისიდორე ქურხული — 1 მან., სოლომონ გიუნაშვილი — 20 კაპ., ზ. მარუშაული — 15 კაპ.

მასწ. ილიკო მენთეშაშვილი

# ნაბოლარა

საკვირაო გაზეთი, № 2.

მომღერნება, გინა დარიგება ავტორთა და თანამშრომელთათვის.

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“. (მათ. II, 28)

ჩვენის გაზეთის დაარსებით ბევრს მწერალს ეშველება, გულის სიმშვიდე და „განსვენება“ მიენიჭება. ჩვენში მრავალს აქვს წერის სურვილი, მრავალს უნდა სამშობლოს ემსახუროს, შეძლებისადა გვარად, და თუ ეს შეძლება კალმის წვეტის მოცვეთას არ აღემატება, ამისთანა მსახურისა რა ბრალია, რომ სხვა იარაღის ხმარება არავინ ასწავლა. კეთილი სურვილი და განზრახვა ხომ აქვს, ესეც კარგია. მოდი და ამისთანა მოღვაწეს წიხლი ჰკარი, რატომ გენიოსი არა ხარო. რაც არის — არის, გენიოსია, თუ იდიოტი, ნიჭიერი, თუ უნიჭო — მაინც ჩვენია და ჩვენც რომ არ შევიწყნაროთ, მაშ ჩინელებს ხომ არ მიეკედლება. მერე ეს მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი ისეთს ხვეწნა-მუდარას დაიწყებენ ხოლმე, მეც კაცად მაქციეთო, რომ უარის თქმა სწორედ მომაკვდინებელი ცოდვა იქმნებოდა. მაგალითად, ერთი გვწერს:

„ბ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე ლექსს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უ უ მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ე ს ნომრის ფურცელზე. იმედი მაქვს მოწყალე და მართლმსაჯელი ექნებით ამ ჩემს ტვინის ნაწარმოებს და, თუ ბევრი და უსაშველო ნაკლულევანება არ აღმოჩნდება მასში, მაშინ ფ რ თ ა ს ა რ შ ე მ ა კ ვ ე ც თ ს ა მ ე რ მ ი ს ო დ. პატივი მაქვს დავრჩე მარად ერთგული და კეთილდღეობის მსურველი თქვენის გაზეთისა“...

ჯერ, სხვა რომ არა იყოს-რა, ამისთანა ზრდილობიანის წერილის პატრონის მეგობრობა დიდს რამედ უნდა მიაჩნდეს რედაქციას. „ივერიამ“-კი ეს წერილიც და ლექსიც ნაგვის გოდრისკენ გააქანა.

აი მეორე წერილი:

„ბ. რ.! ვბედავ კიდევ და ამ ბოლო დროს გიგზავნით ამ ლექსებს. ისევე-კი მაშინდელ მოწერილს გავიმეორებ მათ შესახებ. ღმერთმა ხომ იცის, მე ამითი არც სახელი მინდა. აბა რა სათქმელია!.. არცა-რა სხვა. არამედ მეც მწადის ევებ ეს უბრალო კაცი სასარგებლო გავხდე. ამისთვინ უმორჩილესადა გთხოვთ, თუ ღირსეულად იცნოთ, დაუთმოთ, აღირსოთ თქვენი გაზეთის პატარა ადგილი. თქვენი გაზეთის მ ა რ ა დ ი ს მ შ რ ო მ ე ლ ი“...

„მარადის მშრომელს“ რედაქციამ არც ერთი სტრიქონი არ დაუბეჭდა. რამდენი კიდევ ამისთანა „გულ-ქვაობა“ თუ „სიზარმაცე“ გამოუჩენია „ივერიას“, ვინ მოსთვლის; ცალკე წიგნად თუ დავბეჭდავთ, თორემ მთელის წლის გაზეთი მარტო ამას მოუნდებოდა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთს მაგალითსაც:

„უ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ ეს ლექსი თქვენს გაზეთში გამოუშვათ. ეს პირველია. იმედია არ გ ა მ ა წ ბ ი ლ ე ბ თ“.

მოდი და ამისთანა მთხოვნელი ხელცარიელი გააბრუნე, განა ღმერთი აიტანს?! თავად ქართველებს ზარმაცობის ბრალსა გვდებენ და ჩვენ, წარმომადგენელნი, წინამძღოლნი, გამაფხიზლებელნი ამ ხალხისა, — იმის მაგივრად, რომ ზარსა ვრეკდეთ და ყველას ყურში ვყვირკვინებდეთ, ყველას ვაფხიზლებდეთ და ვამხნევებდეთ, — ჩვენვე ყველას საზოგადო მოქმედების ხალისს ვუკარგავთ და ვეუბნევით: წადი, დაიძინე, რა შენი საქმეა ფეხზედ დგომაო!

„ნაბოლარას“ რედაქცია ასე არ მოიქცევა. არამც თუ არავის არ გააწბილებს, პირ-იქით, ყველას სურვილს დააკმაყოფილებს და თავის გაზეთს, ქვეყნის სამდიდრეს, ყველას ღირსეულად გაუნაწილებს. უნიჭო და ნიჭიერი მწერალი — ორივ მშრომელია და ამათი შრომა ხომ 500,000 ფუთი ხორბალი არ არის, დამშეულთათვის მოგროვილი, რომ ვოლგას წყალს მივსცეთ და წავალებინოთ. ყველას შრომას, „ტვინის ნაწარმოებს“, მცირე ბარათზედაც რომ იყოს ქართულის ასოებით გამოხატული, ჩვენ მოწიწებით მივიღებთ და თავის დროზედ „გამოუშვებთ“, გაწბილებულის ავტორის დასამშვიდებლად. ჩვენ დარწმუნებულნი

კართ, რომ ყველა წერილში რამე საყურადღებოს შეხვდებით, ჩვენც იმ ადგილით ვისარგებლებთ. ამ რიგად ყველა მწერალი ერთს-ორს თავის საკუთარს სტრიქონს მაინც დაინახავს გაზეთში, ისიამოვნებს და, თუ ეხლა ზურტულით არის შემოსილი, სამემრისოდ ყორნის ფრთები გამოესხმის, იქნება გაარწივდეს კიდეც.

ჩვენ ყველა ნაგვის გოდრიდგან ამოცოცებულს წერილს დავკვირვებივართ და აღმოგვიჩენია, რომ მცირე აქვს ბევრი კარგიც მიჭყლულია, და ეს ხომ დიდი უსამართლობაა. იფქლი და ღვარძლი უნდა განირჩეს და არა ერთად დაიწვას. სოდომ-გომორი გადარჩებოდა ღვთის რისხვას, მრავალთა ათასთა უკეთურთა შორის ათიოდე კეთილი კაცი რომ აღმოჩენილიყო. ნუ თუ ჩვენის მწერლებ.ის „ტვინის ნაწარმოებში“ ათიოდე რიგიანი სიტყვა არ გამოირჩევა, რომ ესე სასტიკად, დაუნდობლად ეპყრობიან?

მართალია, ზოგს ნაწერს თავი კარგად ეწყობა, ბოლო-კი არ უვარგა; ზოგს ბოლო კარგი აქვს, თავი უხეირო; ისეთიც გამოირჩევა, რომ თავი და ბოლო არ უვარგოდეს და შუა-წელი-კი მეტად მშვენიერი ჰქონდეს. ამის გამო მთლად წერილი ვერ დაიბეჭდება, მაგრამ განა საქმეს არ ეშველება?

კარგს თავს სხვის კაი ბოლოს მივაკერებთ, ანუ კარგს ბოლოს სხვა ბოლოს თავს კაი გამოვაბამთ; კარგს თავ-ბოლოს მოსახდენს რასმე მივაკრავთ შუაში და ერთს სამაგალითოს რასმე გამოვჩარხავთ.

იმის მიხედვით, თუ რამდენი კალამი იმუშავებს ერთად, თხზულებანი განიყოფებიან სამს გვარად: მრავლობითად, ორობითად და მხოლობითად. ლექსებით ავხსნათ სამივე, რადგანაც პოეზიით უფრო ადვილი მისახვედრია.

მაგალითი მრავლობითისა:

ვიშ და უშ!

ცას მშვენიერსა, ცასა შემკულსა
შეჰხარის ტურფა სალამოს ველი;
ფოთოლთა შრიალს, ყვავილთა ბიბინს
ყურსა მიუპყრობს ჩუმად სოფელი...
ფ. მ.

ვიშ ამ ფრინველებსა, როგორ გალობენ,
გაზაფხულითა გახარებულან!..
ვიშ ტყე-მდელოსა, ვიშ ამ მინდვრებსა,
როგორ კეკლუცად აყვავებულან!
სამსონი.

გაიბადრა ბაღჩის ვარდი,
ათას ფერად გადიშალა,
ეკლიანი თვისი ბუჩქი
წითელ ფარჩათ დაიფარა...
ა. ბაზიერი.

ჭალით ბულბული უმღერის ვარდსა,
ველს მოჰფენია ზედ სუნნელება
და ჩათვლემილსა გარე მიდამოს...
ვიშ! რა ლამაზად ხარობს ბუნება.
ვ—ც.

აქ ფუტკარი, ჭიანჭველა,
იქ ფრინვლები და ნადირი,—
ხარობს იქნება ყველა...
მე კი გულს დამიღრღნის ჭირი.
ვერ მომალხენს მე ესენი
ვერ ვიპოვენი მათში შვებას,
თავისუფალს რაც მინდა თქმის,
არ მაძლევენ რა კი ნებას!!
ლადო.

რას ტირი, გენაცვალე?
ჯერ ხომ არ მოგშივნია?
ძუძუს მოგცემ, მაცალე,
ყველას ის გირჩევნია!
გოლა.

მაგალითი ორობითისა.

ეს ლექსი იმითი არის შესანიშნავი, რომ ვერც თავი მოვუძებნეთ შესაფერი, ვერც ბოლო და ვერც თუ შუად ჩავაკერთ სადმე. მხოლობითად არ გამოდგებოდა და შრომა ჩვენ თითონ გავინაწილეთ. კენტი სტრიქონი ნამდვილს ავტორს ეკუთვნის, დამაწყვილებელი ჩვენ შევაწყვეთ, სათაური-კი ავტორისა დარჩა:

ჩემი სიმღერა.

არ მაქვს ადგილ-მამული,
არც თუ სხვა რამ ქონება,
არა მაქვს გროში ფული
არც რისამე ზნოება!
არა მყავს შემწე მამა,
შემიბრალეთ საწყალი!
არ მყავს არც და, არცა ძმა,
თქვენ მასხით ცივი წყალი!
არა მყავს ამხანაგი,
მაშ მეც ვყოფილვარ კარგი!
არა მყავს არვინ მარგი,
ვარ „ნაბოლარას“ ბარგი!
დ. მ. და ფ.

მაგალითი მხოლობითისა.

ეს ლექსი მეტად შესანიშნავია. რუსეთის მწერლობას დიდი ხანია ენატრება ახალი ტრედიაგოვსკი და ჯერ ვერა ეშველა-რა; ჩვენ გვყოლია კიდეც და არ ვიცოდით. ამ ლექსის ხელის ხლება, ანუ სხვასთან ფარდება ვერ გავბედეთ და მხოლობითად ვბეჭდავთ. ვურჩევთ ჩვენს პოეტებს, ამ ჭანგზედ მოჰმართონ თვისი ჩანგი, თუ უნდათ ჩვენი წყალობა დაიმსახურონ. აგრეთვე ვურჩევთ, ერთს მხარესაც მიაპყრან ყურადღება: ბ-ნს ავტორს ახალი ლექსთა-წყობის კანონი მოუგონია, რომელსაც, უეჭველია, დიდი მომავალი ექმნება. აქამდის ყველა პოეტს ყოველს ლექსში ყველა სიტყვის მარცვალი გამოთვლილი ჰქონდა და ვინ იცის, ამ ანგარიშს რამდენს დროს ახმარებდა. თურმე ეს ჯაფა წყლის ნაყვა ყოფილა. საკმარისია ლექსი ისე დაიწყოს, რომ სტრიქონის ბოლო ასოები ერთ ხაზზედ მოუწყოს, და ლექსი გამოცხვა. ამაზედ გაადვილება შეუძლებელი-ღაა. ვურჩევთ ავტორს, პრივილეგია გამოიტანოს სამეცნიერო აკადემიიდგან, რომ უცხო ენის მწერლები არ შეეცილნენ. სმენა იყოს და გაგონება.

ძილში მეჩვენა
(მოცარტიც ძილში აწყობდა ჭანგებს)

ოცნებით განთიადს
დამადგა თავზე
მითხრა მან ძილში
განრისხებული ხმაზე.
—
რათა გრცხვენია ან,
ვისთანა გაქვს რიდი.
მამა-პაპეულ ადგილში
შენ თამამად მიდი.
და კვლავ სიმშვიდით,
განაგრძო, მან
მომეალერსა, სჩანს
ფერი იცვალა ხმამ.
მ. ლ.
(ვერ დასრულდა, ჰამ!
გვილალატა ყბამ!)
რედაქტორი ფფ.

## დეპეშა

2 მაისი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ბირჟა: ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის 6%-იან გირავნობის ფურცლებში იძლევიან 101 მან., 5%-ანში—99 მ. 25 კაპ.; ქუთაისისაში—6%-ანში 101 მან. და 5%-ანში—99 მ. 50 კაპ.

საავენტოს მიერ ნაუწყები ამბავი, რომ ნება-დართულ იქმნა გატანა შვრიისა და სიმინდისაო, დღეს ოფიციალურად დამტკიცდა.

დღეს დიდის ამბით მიასვენეს გვამი ქალაქის უფროსის გრესსერისა წმ. ანნას ლოტრანგთა ეკლესიაში.

**რიგა.** გემი „Connemauch“, დატვირთული პურით რუსეთის დამშეულ გუბერნიებისათვის, დღეს მოვიდა შუაღამისას ბოლდერაასის ნავთსადგურში. დაცლა გემისა უკვე დაწყებულ იქმნა. დღეს ნაშუადღევს წავლენ რამდენისამე გემით ნავთსაყუდელში მისასალმებლად მთავრობის წარმომადგენელნი და საზოგადოება.

პეტერბურგის ბირჟა, 1 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,56}$ | $7_{,58}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | $1_{,10}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 238¼ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | 195 | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

ტფილისში,
გოლოვინის პროსპექტზედ, ფანდოევის სახლში, ოტტენის აფთიაქის გვერდზედ გაიმართა:

**ფოტოგრაფია**
ეკატერინე პეტრეს ასულის
**ბარკანოვისა,**
მის იმ. უმაღ. დ. მთ. მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის თეირანში გარდაცვალებულის ფოტოგრაფ ვ. ვ. ბარკანოვის ქვრივისა.

ბარკანოვის ქვრივის საფოტოგრაფიო სახელოსნოს იმედი აქვს კვლავ აღადგინოს თავის მუშაობით უწინდელი სახელი მთელს კავკასიაში ცნობილის ფირმისა და მოიპოვოს ნდობა პატივცემულის საზოგადოებისა.

ფასი ყოველ გვარ საფოტოგრაფიო სამუშაოსი ხელ-მისაწვდომია.
(3—70—2)

ისყიდება
კახეთის საუკეთესო
**ღვინოები**
თ. ილია ჭავჭავაძისა
და სხვა მემამულეთა.

ვედრო ღირს ცხრა აბაზიდგან თორმეტ მანეთამდე, ბოთლი სამ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

სარდაფი იმყოფება შუაბაზრის თავში, წინამძღვარიშვილის სახლში, № 1.
სოლომონ ყურდღელოვი
(4—58—4)

**მაღაზია სარპინკებისა**
(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**
**ბენდერ და სცეფანოვი**
(35—56—12)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ., № 21.

**ახალი სტამბა**
მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,
იქ, სადაც „**ივერიის**“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა
სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**